# საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე: ქ. თბილისი, არაყიშვილის II ჩიხი №1-3-5-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის შედეგი

შპს „ჰაერის სავენტილაციო სისტემები“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2016 წლის 3 ივნისს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, არაყიშვილის II ჩიხი №1-3-5-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

**შემოწმების მიზანი:** დადგინდეს ქ. თბილისში, არაყიშვილის II ჩიხი №1-3-5-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების მიერ 2013 წლის ივლისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ალ. პასიკაშვილი.

საექსპერტოდ წარმოდგენილია

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე. ..... 6 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ..... 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა ..... 2 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 1 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა-ბეტონის

კარკასით, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლების ტიპსა და ჩაღრმავებას, იგი გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 1 ჭაბურღილი და 2 შურფი, ჭაბურღილის სიგრძე შეადგენს 10 მეტრს, ხოლო შურფების ჯამური სიგრძე შეადგენს 7.5 მეტრს. ჭაბურღილიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 - ნაყარი გრუნტი
2. ფენა 2 - თიხნარი, ძნელადოლასტიკური;
3. ფენა 3 - ძირითადი ქანები-არგილითები და ქვიშაქვები ძლიერ გამოფიტული;
4. ფენა 4 - ძირითადი ქანები-არგილითები და ქვიშაქვები გამოფიტული;
5. ფენა 5 - ძირითადი ქანები-არგილითები და ქვიშაქვები ნაკლებად გამოფიტული;

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. რაც შეეხება ქანების დახასიათებისათვის, მათ გამოყენებული აქვთ მასალები, რომელიც აღებულია საკვლევ ობიექტის გვერდით განთავსებული ობიექტიდან. საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები მათ მიერ იყო შესრულებული. ჩატარებული სამუშაოების ანალიზის შედეგად ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი საცხოვრებელი სახლის შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირდა.

# დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, არაყიშვილის II ჩიხი №1-3-5-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო -გეოლოგიურ ნაწილში.

სტუ-ს გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტმდ, პროფესორი /გ. ბახონელიძე/

| | |
|---|---|
| ია, სახელი, ის სახელი | ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე |
| ის ტელეფონის მერი | ქ. თბილისი, კოსელიძის №10, ბინა 25<br>ტელ.: 2-22-00-44 |
| ადების თარიღი | 1928 წლის 16 თებერვალი |
| ათლება | 1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა,<br>1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ<br>სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით,<br>1972 წელს დავამთავრე ოგივე ინსტიტუტი,<br>ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. |
| ნიჭებული კალიფიკაცია | 1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი)<br>1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი)<br>2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი |
| ქმიანობა და ამუშაო ამოცდილება | 1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის<br>ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;<br>1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა<br>აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის<br>ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში;<br>1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტ<br>გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ<br>ხელმძღვანელი |
| ამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები | გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფ<br>„საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და<br>„ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.)<br>შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს<br>იწგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავ<br>სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობ<br>გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა<br>დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე.<br>მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე.<br>ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა:<br>„გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და<br>„ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.).<br>ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ.<br>„შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები". |
| ცხო ენების ცოდნა | ქართული - მშობლიური;<br>რუსული - კარგად;<br>ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით |

# ДИПЛОМ
## ДОКТОРА НАУК

МЦН № 007499

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 января 1975 г. (протокол № 1)

Чогошвили Гия Иванович

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

Москва 28 апреля 1975 г.

# დიპლომი

Я № 168109

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
ინჟინერ
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1972 წ. 2 ივლისი

სარეგისტრაციო № EE-205



საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა
პირადი № 01024010509
სახელი [illegible]
გვარი [illegible]
დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.
დაბადების ადგილი თბილისი
№ 0266413
მფლობელის ხელმოწერა

მისამართი
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მთ. [illegible]
გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.
მოქმედების ვადა
ბ.ა.
ხელმოწერა